TRC GCSD

ნატო-ს ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და საერთაშორისო ტერორიზმი

ნატო-ს ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და საერთაშორისო ტერორიზმი

ავტორი: მარიამ ყანდიაშვილი

თბილისი
2022

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული **ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)** არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ან ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) პოზიციას. TRC - ს წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

TRC GCSD

აბსტრაქტი

საერთაშორისო ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელება დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მსოფლიოში. უკვე წლებია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია მოკავშირეებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთავარი მიზანი კი გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევაა.

ნაშრომის განმავლობაში მიმოხილული იქნება ნატო-ს ფუნქციური ტრანსფორმაცია ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და განხილული იქნება როგორც ორგანიზაციის კონტრტერორისტული პოლიტიკა, ისე სხვადასხვა მისიები თუ პროგრამები, რომლებსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოკავშირეებთან ერთად ახორციელებს.

სარჩევი

აბსტრაქტი 3

აბრევიატურები და მათი განმარტება 5

შესავალი 6

მეთოდოლოგია 7

საბჭოთა კავშირის დაშლა და ჩრდილოატლანტი-კური ალიანსის ფუნქციური ტრანსფორმაცია 8

ნატოს კონტრტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 10

9/11 ტერაქტი და ნატო-ს საპასუხო ქმედებები 14

ნატო-ს მისია ერაყში (NMI) 18

დასკვნა 20

გამოყენებული წყაროები: 21

აბრევიატურები და მათი განმარტება

MAP - წევრობის სამოქმედო გეგმა

PFP - პარტნიორობა მშვიდობისათვის

UAS - უპილოტო თვითმფრინავების სისტემა

CNAD - ეროვნული შეიარაღების დირექტორთა კონფერენცია

DAT POW - ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის სამუშაო პროგრამა

ISAF - საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები

RSM - მტკიცე მხარდაჭერის მისია

NMI - ნატოს მისია ერაყში

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკის შესაკავებლად ჩამოყალიბდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ ფუნქციონირება არ შეწყვიტა. პირიქით, გამოიცა ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც მომავალზე იყო ორიენტირებული, მომავალზე ახალი გამოწვევებითა და მათთან გამკვლავების გზებით. ამდენად, წლების განმავლობაში ნატო-ს სამხედრო და პოლიტიკური ალიანსი ტრანსფორმირდა და ახალ საფრთხეებზე გახდა ფოკუსირებული. 1999 წელს ტერორიზმი განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე ჩრდილოატლანტიკური გაერთიანებისთვის.[1] შესაბამისად, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა კონტრტერორისტული პოლიტიკა და შემუშავდა სხვადასხვა ანტიტერორისტული პროგრამა. 2001 წლის 9 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად კი, ნატო-ს 73 წლიანი არსებობის განმავლობაში პირველად, ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი.[2] ამდენად, ნატო-ს სამხედრო და პოლიტიკური ალიანსი უშუალოდ ჩაერთო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უფრო მეტიც, უკანასკნელ წლებს თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხედრო თვალსაზრისით ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებშია ჩართული. სხვადასხვა კონფლიქტურ ზონებში კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობა მოიცავს კონსულტაციების, სასწავლო კურსებისა და წვრთნების ფარგლებში შესაძლებლობების განვითარებასა და ტერორიზმის პრევენციის მექანიზმენის შემუშავების განვითარებას. რაც მიზნად ისახავს ამა თუ იმ რეგიონში გრძელვადიანი სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას.

[1] Collective Defence Article 5. (2022). North Atlrantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm

[2] ^ Ibid.

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა არსებითად წარმოადგენს ნატო-ს კონტრტერორისტული პოლიტიკის 'ქეისების შესწავლას' (Case Study) 1991 წლიდან 2022 წლამდე. კვლევის განმავლობაში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიც არის: ნატო-ს წარმომადგენლების მიერ აღნიშნულ პერიოდში გაკეთებული განცხადებების რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი და შემუშავებული დოკუმენტების და წესდებების თვისებრივი კონტენტ ანალიზი, ასევე მეორეული და მესამეული წყაროს ანალიზი და დაკვირვება. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის პროცესზე მიდევნების მეთოდი, რაც გულისხმობს სხვადასხვა ფაქტის ქრონოლოგიურ განხილვას.

საბჭოთა კავშირის დაშლა და ჩრდილოატლანტი-კური ალიანსის ფუნქციური ტრანსფორმაცია

მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ რეალიზმის თეორია სკეპტიკურად უყურებდა ნატო-ს სამომავლო ფუნქციონირებას, ხოლო ნეორეალიზმიც ნაწილობრივ ეთანხმებოდა მას, ალიანსი ახალ ერას, ახალ გამოწვევებზე მორგებული, განახლებული სტრატეგიით შეხვდა.[3] ცივი ომის დასრულების, გერმანიის გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად მოდიფიცირებული და მომავალზე ორიენტირებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცალსახაა, რომ წლების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამხედრო და პოლიტიკური გაერთიანებაა. უიშვიათესი შემთხვევაა, რომ ერთ სტრატეგიულ კონტექსტში ჩამოყალიბებული ორგანიზაცია მისიის შესრულების შემდგომ ფუნდამენტურად ახალ კონცეფციაზე გადადის და განაგრძობს ფუნქციონირებას. ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დაარსების დღიდან, დროთა განმავლობაში ალიანსის სტრატეგია და საქმიანობის გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად იცვლებოდა. მაგრამ, ცივი ომის დასრულებამ კითხვები გააჩინა ნატო-ს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით, რადგან ორგანიზაციის მთავარი მისია, დაეცვა დასავლეთ ევროპა და აღმოსავლეთ ევროპის მოკავშირეები საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკისგან, მიღწეულ იქნა.[4] თუმცა, ყველაზე გარდამტეხი ძვრები, სწორედ ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ვარშავის ხელშეკრულების გაუქმება და საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლა თავისუფლების მოსურნე ქვეყნებიდან, იყო პოლიტიკური ტრიუმფი ერებისთვის დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოების ასაშენებლად. 1991 წელს, რომში მიღებული სტრატეგიული კონცეფციის თანახმად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ამყარებს ურთიერთობებს და იწყებს თანამშრომლობას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.[5] 1999 წელს, ნატო-ში ჩამოყალიბდა წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP), რომელიც, ფაქტობრივად, ალიანსში

[3] Pedersen, Kaj W.E. (2011). A Theoretical Analysis of the Future of NATO. CMC Senior Thesis. Paper 157.

[4] Rice, J. M. (2016). NATO's New Order: The Alliance After the Cold war. Available at: https://origins.osu.edu/article/natos-new-order-alliance-after-cold-war?language_content_entity=en

[5] Schimmelfenning, F. (2005). Multilateralism in Post-Cold War NATO: Functional Form, Identity-Driven Cooperation. Paper for AUEB International Conference on Assessing Multilateralism in the Security Domain

ინტეგრაციის მსურველი სახელმწიფოებისთვის ახალ შესაძლებლობას ქმნიდა. აქვე უნდა მოვიყვანოთ ორგანიზაციის ახალი სტრატეგიული კონცეფცია, პარტნიორობა მშვიდობისათვის (PFP), რომლის ფარგლებშიც ორი მიმართულებით კეთდებოდა აქცენტი:

1. ხელი შეუწყონ ნატო-ს არაწევრი სახელმწიფოების სამხედრო ტრანსფომარციას;
2. დაეხმარონ ასპირანტ სახელმწიფოებს ნატოში შესაძლო წევრობისათვის მოსამზადებელ პროცესში.

შედეგად, ნატომ, არა მხოლოდ, შეინარჩუნა იგივე პოზიციები, არამედ გაიზარდა იგი, ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღებით. [6] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 1990-იან წლებში, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური კომპონენტის გაძლიერება, რაც გულისხმობდა ალიანსის მე-2 მუხლის გათვალისწინებას, მშვიდობიანი და მეგობრული საერთაშორისო გარემოს უზრუნველსაყოფად და მე-4 მუხლის, კონსულტაციებისთვის ყოველი მოკავშირის უსაფრთხოების შესახებ გეოგრაფიული ბარიერის მიუხედავად, აქტიურ ფაზაში გადავიდა. [7]

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია თავისი არსებობის განმავლობაში სამი ძირითადი მიმართულებით იყო კონცენტრირებული:

1. კრიზისის მართვა;
2. ომის შეკავება;
3. წევრი სახელმწიფოების გარე საფრთხისგან დაცვა.

ამდენად, ცივი ომის პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარი ამოცანა კოლექტიური თავდაცვა და პოტენციური საფრთხის თავიდან აცილება იყო. თუმცა, ცივი ომის დარულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, არასახელმწიფო აქტორების გამოჩენამ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, ალიანსი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. [8] მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ტერორიზმის

---

[6] Ibid.[4]

[7] Stromseth, J. E. (1991). The North Atlantic Treaty and European Security after the Cold War. Cornell International Law Journal: Vo. 24: Iss. 3, Artcile 6. Available at: https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1277&context=cilj

[8] North Atlantic Treaty Organization. (2020). NATO's Purpose. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68144.htm

წინააღმდეგ ბრძოლა. ტერორისტული თავდასხმების საფრთხე, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია, იმდენად აქტუალური გახდა, რომ ალიანსში მოკავშირეებმა დაიწყეს მიდგომების შემუშავება, რაც გულისხმობდა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ასპექტების გაძლიერებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ნატოს კონტრტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

მას შემდეგ, რაც 1999 წელს ტერორიზმი განისაზღვრა როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე ჩრდილოატლანტიკური გაერთიანებისთვის, ორგანიზაციაში კონტრტერორისტული მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა დაისახეს: ტერორიზმის, როგორც საფრთხის შესახებ ცნობიერების ამაღლება; შესაძლებლობების განვითარება მომზადებასა და რეაგირებისათვის და პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩართულობის გაძლიერება. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, ნატო-ს გააჩნია ერთობლივი სადაზვერვო უსაფრთხოების დანაყოფი, რომლის ფარგლებშიც, შეიქმნა ტერორიზმის სადაზვერვო ერთეული (Terrorism Intelligence Cell, TIC), რომელიც ორიენტირებულია პერიოდულად სტრატეგიულ დაზვერვაზე დაყრდნობილი ინფორმაციის გავრცელებაზე, (ტენდენციები, მოდუს ოპერანდი, განვითარება გეოგრაფიულ არეალში). კიდევ ერთი ასპექტი ცნობიერების ამაღლების კუთხით, არის ქალების როლი ტერორიზმსა და კონტრტერორიზმში. მათ შორის, გენდერული პერსპექტივის ჩათვლით. ამას ემატება მესამე ელემენტიც, რაც ადამიანის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული: ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის, ისე კულტურული ფასეულობების დაცვა და ადამიანებით ვაჭრობა. ალიანსში შესაძლებლობების განვითარება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლექტიური თავდაცვის ძირითად ამოცანასთან. ეს ის ასპექტია, რაც ეხება ნატოს საქმიანობას მოკავშირეებს შორის, დაიცვას მოსახლეობა და ტერიტორია ტერორისტული თავდასხმებისგან. აღნიშნულის ფარგლებში კი მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ შეუძლია ტექნოლოგიურმა განვითარებამ მხარი დაუჭიროს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. აქვე უნდა აღინიშნოს, უპილოტო თვითმფრინავების სისტემის (UAS), უფრო კონკრეტულად კი, კომერციულად მოდიფიცირებული დრონების განვითარებისთვის

განხორციელებული სამუშაო. რაც შეეხება პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩართულობის გაძლიერებას, აქ მნიშვნელოვანია კონტრტერორისტული დიალოგის გზით განისაზღვროს, რა საჭიროების წინაშე არიან მოკავშირეები ალიანსისგან და რომელ მოცემულ არეალში შეძლებს ორგანიზაცია დახმარების გაწევას. [9] შესაბამისად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, ნატო უზრუნველყოფს არსებული გამოწვევების უწყვეტ სტრატეგიულ ანალიზსა და შეფასებას, სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებისა და კონსულტაციის გზით ეროვნულ დონეზე სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, მიმდინარეობს დისკუსიები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებშიც ასევე ჩართულები არიან მოწვეული ექსპერტები. ერთობლივად მუშაობის მთავარი მიზანი კი, საერთაშორისო კონტრტერორისტული ძალისხმევის გაძლიერება და გლობალური მიდგომის დახვეწაა. შესაძლებლობების კუთხით კი, მუდმივად მიმდინარეობს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება. 2004 წელს ეროვნული შეიარაღების დირექტორთა კონფერენციის მიერ (CNAD) შეიქმნა ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის სამუშაო პროგრამა (DAT POW). სტამბულის სამიტზე კი, მას მხარი დაუჭირეს ნატოს ლიდერებმა. თავდაპირველად, აღნიშნული პროგრამის მთავარი ამოცანა იყო ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გზით ტერორისტული თავდასხმების შემცირება. თუმცა, დროთა განმავლობაში პროგრამის ფუნქცია გაფართოვდა და ყოვლისმომცველი შესაძლებლობების განვითარებაზე გახდა ფოკუსირებული.[10] ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის სამუშაო პროგრამა (DAT POW) უზრუნველყოფს კონცეფციების, დოქტრინის, პოლიტიკის, ტრენინგების მიღებასა და შემუშავებას ტერორიზმის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. ისიც უნდა ითქვას, რომ პროგრამის მთავარი აქცენტები გათვალისწინებულია ალიანსის 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში, როგორც 2012 წლის კონტრტერორისტული პოლიტიკისა და ნატოს გაძლიერებული როლის შესახებ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის გზამკვლევებში, რაც დამტკიცებულია ნატოს ლიდერების მიერ 2017 წელს, ხოლო უფრო დახვეწილი სახით მოცემულია 2018 და 2019 წლებში. [11] ამასთანავე, კონტრტერორისტული მიმართულებით ნატო ახორციელებს ტრენინგებისა და საგანმანათლებლო კურსის სპექტრს, როგორც

[9] Cascone, G. (2022). NATO Counterterrorism Trends: Current and Future Threats. The Washington Institute for Near East Policy. Available at: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/nato-counterterrorism-trends-current-and-future-threats

[10] North Atlantic Treaty Organization. (2021). Countering Terrorism. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm

[11] North Atlantic Treaty Organization. (2021). Defence Against Terrorism Programme of Work (DAT POW). Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50313.htm

მოკავშირე, ისე წევრი სახელმწიფოებისათვის. [12] 2020 წელს კი, ნატომ წამოიწყო პირველი სტანდარტიზებული სასწავლო პროგრამა ანტიტერორიზმის შესახებ, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს პარტნიორ სახელმწიფოებს ეროვნული უნარების განვითარებასა და ტერორისტული სტრატეგიების გაუმჯობესებაში. [13] ნატოს პროგრამის მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის (SPS) ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია კონტრტერორიზმი. აღნიშნული პროგრამა, ფაქტობრივად, აღრმავებს თანამშრომლობას პარტნიორ სახელმწიფოებს შორის და ერთმანეთთან აკავშირებს, როგორც მეცნიერებს ისე ექსპერტებს. რაც ხელს უწყობს და ამარტივებს ტერორისტული საფრთხის უკეთ გააზრებას და რეაგირებისათვის სხვადასხვა აქტივობების შემუშავებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო და პოლიტიკურ ალიანსში ტერორიზმი მოცემულია, როგორც ჯვარედინი საკითხი, რომელთან გამკვლავებაც სამი ძირითადი და პრინციპული ამოცანის ფარგლებში ხორციელდება:

1. კოლექტიური თავდაცვა;
2. კრიზისის მართვა;
3. თანამშრომლობითი უსაფრთხოება,

რაც, განსაზღვრულია ორგანიზაციის 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ნატო ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო საზოგადოების გვერდით დგას ისეთ გარემოში, რომელშიც შეუძლია გამოიყენოს თავისი გამოცდილება და აქვს შესაძლებლობა ითანამშრომლოს პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. [14]

მას შემდეგ, რაც ტერორიზმი განისაზღვრა, როგორც მთავარი საფრთხე, წლების განმავლობაში, ალიანსმა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე გააკეთა ფოკუსირება. განსაკუთრებული ყურადღება კი დაეთმო იმ ტერიტორიებს, რომლებზეც არსებული მოცემულობა მეტად მწვავეა. ამდენად, როცა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სხვადასხვა რეგიონულ დონეზე ოპერირებას მიმოვიხილავთ, საინტერესოა ვახსენოთ ბოლო წლების განმავლობაში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული და განვითარებული პროგრამა „ჰაბი სამხრეთისთვის“ (Hub for the South) გაერთიანებული ძალების სარდლობაში ნეაპოლში და სტამბულის

[12] Ibid.[10]

[13] Ibid.[10]

[14] Ibid.[9]

თანამშრომლობის საინიციატივო რეგიონულ ცენტრში, ქუვეითში. რაც, ფაქტობრივად, ადასტურებს ალიანსის სურვილს, გააღრმაოს ადგილობრივი ცნობიერება და გააძლიეროს შესაძლებლობების განვითარება ჩრდილოეთ აფრიკაში, საჰელის რეგიონში, სუბ-საჰარის აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საფრთხე განსაკუთრებით დგას. [15] აღნიშნული პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, უკეთ განისაზღვროს საფრთხე და მიეცეს სწორი მიმართულება ამ ქვეყნებთან ორგანიზაციის მუშაობასა და ჩართულობას. ჰაბის სამხრეთისთვის, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინასთან, მთავარი მოვალეობაა, მუდმივად ადევნოს თვალი ამ გეოგრაფიულ არეალში არსებულ რეალობასა და განვითარებულ მოვლენებს. აფრიკაში (განსაკუთრებით საჰელის რეგიონში) ტერორისტული საფრთხის ევოლუციას რაც შეეხება, სამხედრო ალიანსის მთავარი ამოცანა არის რეგიონში ნატო-ს პარტნიორების შესაძლებლობების განვითარება, რაც არ გულისხმობს ამა თუ იმ გზით უშუალო ჩარევას. ძირითადი პრინციპი არის გზების გამონახვა თუ როგორ გაძლიერდეს იმ სახელმწიფოების შესაძლებლობები რეაგირებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით განიცდიან სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ზეგავლენას. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში ნატო-ს C-UAS ფუნქციონირება უპირველეს ყოვლისა დაიწყო მოკავშირეების შესაძლებლობების განვითარების მხარდასაჭერად. ამ მიმართულებით, ორგანიზაცია ადგილობრივად ახორციელებს კვლევას და ახდენს ყველაზე ეფექტური კონტრზომების იდენტიფიცირებას. [16]

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ნატოს სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კითხვები ცივი ომის დასრულების შემდეგ გაქარწყლებულია, რადგან ალიანსის საქმიანობა დღითი დღე უფრო ფასეული ხდება. განსაკუთრებით, თუ გადავხედავთ ბოლო წლების განმავლობაში ტერორისტული დაჯგუფებების მიერ კომერციულად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენების ტენდენციებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. 2021 წლის საერთაშორისო ცენტრ კონტრ-ტერორიზმისთვის მიცემულ ინტერვიუში ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწემ უსაფრთხოების გამოწვევების საკითხებში დევიდ ვან ვილის (David Van Weel) თქმით სამხედრო ალიანსი აქტიურად მუშაობს მოკავშირეებთან, რათა გამონახონ გზები

[15] Vivo, D. D. (2018). Not Just a Numbers game: NATO, Women, and Countering Terrorism. Atlantic Council. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/not-just-a-numbers-game-nato-women-and-coutering-terrorism/

[16] Ibid.[9]

არსებული მოცემულობის აღმოსაფხვრელად. [17] 2020 წლის 22-23 ოქტომბერს გამართულ ვიდეო კონფერენციაზე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის თავდაცვის მინისტრები მიესალმნენ ნატოს საბრძოლო ველზე მტკიცებულების პოლიტიკისა (NATO Battlefield Evidence Policy) და ნატოს ტექნიკური ექსპლუატაციის პრაქტიკული ჩარჩოს (NATO Practical Framework for Technical Exploitation) მიღებას. ფაქტობრივად, ორივე ზემოთ მოცემული პროგრამა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს კოლექტიური კონტრტერორისტული ძალისხმევის გასაძლიერებლად, რადგან მოკავშირეებს ეძლევათ შესაძლებლობა ინფორმაციული ხელმისაწვდომობისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. [18] ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები წლების განმავლობაში სხვადასხვა მისიებსა და ოპერაციებში იღებენ მონაწილეობას, რომლის ფარგლებშიც თავს უყრიან უამრავ ინფორმაციასა და მასალას. ამ მიმართულებით კი, ნატოს საბრძოლო ველზე მტკიცებულების პოლიტიკის პროგრამას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ალიანსის მისიებსა და ოპერაციებში მოპოვებული ინფორმაციის გაზიარებასა და სამართლებრივი მიზნებისთვის გამოყენებაში. ხოლო ტექნიკური ექსპლუატაცია არის მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც საშუალებას იძლევა ნატოს ძალებისთვის, მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბრძოლის ველზე. ეს კი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ძალების დაცვასა და სამხედრო მიზნებისა და სამართლებრივი ორგანოების შედეგების მხარდაჭერას. [19]

ბოლო წლებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატო სამხედრო თვალსაზრისით ძირითადად ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებში არის ჩართული.

9/11 ტერაქტი და ნატო-ს საპასუხო ქმედებები

მას შემდეგ, რაც 1999 წლის ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში პირველად განისაზღვრა ტერორიზმი, როგორც საფრთხე, 2001 წლის 11 სექტემბერს

[17] Cook, J., Newby, V. (2021). An interview with NATO on gender and counter-terrorism. International Centre for Counter-terrorism. Available at: https://icct.nl/publication/an-interview-with-nato-on-gender-and-counter-terrorism/

[18] NATO Allies agree Policy on Battlefield Evidence from operational theatres to boost effrots against terrorism. (2020). North Atlantic Treaty Organization. Avalaible at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_179194.htm

[19] ^ ibid.

ამერიკის შეერთებული შტატები ტერორისტული თავდასხმის სამიზნე გახდა, რომელსაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პასუხმა კი აჩვენა, რომ ნატო აქტიურად ჩაერთო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უფრო მეტიც, 9/11 ტერაქტის შედეგად ნატოს არსებობის მანძილზე პირველად ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რაც გულისხმობს, რომ ერთ წევრ სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას სხვა დანარჩენზეც. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ალიანსის გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა აცნობა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანის. [20] გარდა ამისა, ორგანიზაციაში პირველად განაცხადეს, რომ ისინი მზად იყვნენ ზოგიერთი ტერორისტული აქტი ომის აქტად განეხილათ, მაშინაც კი, თუ ასეთი გარემოება არ იყო გათვალისწინებული 1949 წელს ხელშეკრულების შექმნისას. [21] უკვე 4 ოქტომბერს, მაშინ, როცა განისაზღვრა, რომ ტერორისტული თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მომდინარეობდა ნატოს გეოგრაფიული არეალის მიღმა ტერიტორიებიდან, ორგანიზაციაში გამოიცა რვა პუნქტიანი გეგმა აშშ-ს მხარდასაჭერად:

- გაძლიერდეს სადაზვერვო ინფორმაციის გავრცელების პროცესი და თანამშრომლობა, როგორც ორმხრივ, ისე ნატოს შესაბამის ორგანოებში ტერორიზმის საფრთხეებთან და მის წინააღმდეგ ბრძოლაში განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით;
- საჭიროებისამებრ ინდივიდუალურ ან ერთობლივ დონეზე დახმარება გაეწიოს მოკავშირეებსა და სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ტერორისტულ საფრთხეს;
- გატარდეს საჭირო ზომები ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა მოკავშირეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მათ ტერიტორიებზე;

[20] Sen, A. K. (2018). #StrongerwithAllies: The day NATO stood with the United States. Atlantic Council. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/strongerwithallies-the-day-nato-stood-with-the-united-states/

[21] Daley, Suzanne. (2001). After The Attacks: The Alliance; For First Time, NATO Invokes Joint Defense Pact With U.S. The New York Times. Available at: https://www.nytimes.com/2001/09/13/us/after-attacks-alliance-for-first-time-nato-invokes-joint-defense-pact-with-us.html

- ნატო-ს პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული მოკავშირეების იმ აქტივების შევსება, რომლებიც საჭიროა ტერორიზმის წინააღმდეგ ოპერაციების მხარდასაჭერად;
- უზრუნველყოფილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა მოკავშირეების თვითმფრინავების საჰაერო მიმოსვლა ეროვნული პროცედურების შესაბამისად სამხედრო ფრენებისათვის, რომლებიც ჩართულები არიან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერაციაში;
- უზრუნველყოფილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა მოკავშირეების წვდომა ნატო-ს წევრი სახელმწიფოების პორტებსა და აეროდრომებზე, მათ შორის საწვავის შევსების მიზნით ეროვნული პროცედურების შესაბამისად;
- ალიანსი აცხადებს ნატოს საჰაერო სადესანტო ადრეული გაფრთხილების ძალების განთავსების მზადყოფნას.

შეერთებული შტატების მოთხოვნით, ალიანსმა დაიწყო თავისი პირველი ანტიტერორისტული ოპერაცია 'Eagle Assist' 2001 წლის ოქტომბრიდან, 2002 წლის მაისამდე. აღნიშნული ანტიტერორისტული ოპერაცია გულისხმობდა ნატოს AWACS შვიდი სარადარო თვითმფრინავის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის თავზე პატრულირებას. ნატოს წევრი 13 სახელმწიფოდან 830 წევრმა 360-ზე მეტი ფრენა განახორციელეს. 26 ოქტომბერს ალიანსმა დაიწყო მეორე კონტრტერორისტული ოპერაცია აშშ-ს მხარდასაჭერად. ნატოს მუდმივი საზღვაო ძალები გაიგზავნა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში პატრულირებისათვის, რათა მომხდარიყო ტერორისტული თავდასხმების პრევენცია, მათ შორის უკანონო ტრეფიკინგი. 2004 წლის მარტში ოპერაცია უფრო მასშტაბური გახდა და მთელი ხმელთაშუა ზღვა მოიცვა. [22]

ნატო ავღანეთში

2003 წლიდან მოყოლებული ავღანეთში ნატო იწყებს გაერო-ს მანდატით დაკომპლექტებული საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (ISAF) ხელმძღვანელობას. მთავარი მიზანი ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების შესაძლებლობების განმტკიცება იყო, მათ შორის

[22] Collective Defence – Article 5. (2022) North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm

საერთაშორისო ტერორიზმთან ბროლაში. 2014 წელს კი, საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების მისია ავღანეთში დასრულდა, რადგან ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ავღანეთის ეროვნულმა თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალებმა აიღეს. მომდევნო 2015 წლის 1 იანვარს, ნატო-მ დაიწყო მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM). პროგრამა გულისხმობდა ავღანეთის უსაფრთხოების ძალების წვრთნასა და ინსტიტუტებთან კონსულტაციებს რეკომენდაციების გაწევის მიზნით ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. [23] გარდა ამისა მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM) ავღანეთში რამდენიმე ფუნდამენტურ ელემენტზე იყო აქცენტირებული:

- დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტის მხარდაჭერა;
- გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- კანონის უზენაესობისა და მმართველობის პრინციპების მხარდაჭერა;
- ისეთი პროცესების დამკვიდრება და შენარჩუნებისთვის ხელშეწყობა, როგორებიცაა ძალის გენერირება, პერსონალის დაკომპლექტება, ტრენინგი, მართვა და განვითარება.

2015 წლის დეკემბერში, ნატო-ს მოკავშირეებისა და მტკიცე მხარდაჭერის მისიის (RSM) პარტნიორების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებით მისია 2016 წლის განმავლობაშიც გაგრძელდებოდა. 2016 წლის ივლისში კი ვარშავის ნატოს სამიტზე მტკიცე მხარდაჭერის მისიის კვლავ გაგრძელების გადაწყვეტილება დაადასტურეს. 2017 წელს, როგორც ცნობილი გახდა იქ არსებული ჯარების რაოდენობა დაახლოებით 13 000-დან 16 000 ჯარისკაცამდე გაიზარდა. [24] 2021 წლის სექტემბერში ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM) დასრულდა, რადგან როგორც ალიანსში მიიჩნიეს ავღანეთის წინაშე არსებული გამოწვევების სამხედრო გზით გადაწყვეტა არ არსებობს. [25]

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ საქართველოს მონაწილეობა ავღანეთის ილსამურ რესპუბლიკაში განხორციელებულ მისიებში. საქართველოს

[23] NATO and Afghanistan. (2022). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_8189.htm

[24] Resolute Support Mission in Afghanistan (2015-2021) (Achieved). (2022). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_113694.htm

[25] ^ ibid.

შეიარაღებული ძალები „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) და „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ (RSM) ფარგლებში არაერთხელ ჩაერთვნენ და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) შემადგენლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალები 2004 წლის აგვისტოში შეუერთდა, ხოლო 2015-2017 წლებში, სახმელეთო ჯარების სამანევრო ქვედანაყოფები, როტაციის წესით, ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM). ქართული ქვედანაყოფები ავღანეთში მისიის დასრულებამდე დარჩნენ. [26]

ნატო-ს მისია ერაყში (NMI)

2015 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოკავშირეებმა ჩამოაყალიბეს ერაყისთვის თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა „ნატოს წვრთნის და შესაძლებლობების განვითარება ერაყისთვის“, რაც გულისხმობდა სხვადასხვა მიმართულებით პრაქტიკული დახმარების გაწევას. ეს მიმართულებებია:

1. ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების და ასაფეთქებელი მოწყობილობების ნარჩენების წინააღმდეგ ბრძოლა და განაღმვა;
2. სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა;
3. ერაყის უსაფრთხოების ინსტიტუტების რეფორმირება;
4. საბჭოთა კავშირის დროინდელი აღჭურვილობის შენახვა-მოვლა;
5. სამხედრო მედიცინა.

უკვე 2016 წელს, ნატო-ს ვარშავის სამიტზე ერაყის პრემიერ მინისტრის მოთხოვნით მოკავშირეები შეთანხმდნენ წვრთნებისა და კონსულტაციების დაწყებაზე, ხოლო 2017 წელს ბაღდადში ჩემოყალიბდა ნატო-ს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის მცირე ჯგუფი. „ნატო-ს წვრთნებისა და შესაძლებლობების განვითარება ერაყისთვის“ დასრულდა 2018 წლის ოქტომბერში. [27] იმავე წელს, ბაღდადში ჩამოყალიბდა „ნატო-ს მისია ერაყში

[26] მისია ავღანეთში. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/mission/56/samshvidobo-misia-avganetshi

[27] NATO Mission Iraq (NMI). (2018). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2018_12/181203-factsheet-NMI-en.pdf

(NMI)“, რომლის მთავარი მიზანი ერაყისთვის ტერორიზმის აღმოფხვრაში მხარდაჭერა და რეგიონის გრძელვადიანი სტაბილურობის გაზრდა იყო. „ნატო-ს მისია ერაყში (NMI)“ ფარგლებში კონსულტაციებისა და სასწავლო კურსების გზით მიმდინარეობდა ერაყის უსაფრთხოების ინსტიტუტებისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერება, რათა ქვეყანას განევითარებინა შესაძლებლობები ტერორიზმის წინააღდეგ ბრძოლისა და ისლამური დაჯგუფება დაეშის დაბრუნების პრევენციისათვის. 2021 წელს ნატოს თავდაცვის მინისტრების გადაწყვეტილებით, ერაყის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. „ნატოს მისია ერაყში (NMI)“ გახანგრძლივდა. [28]

[28] NATO Mission Iraq (NMI). (2021). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/3/pdf/2103-factsheet-NMI-en.pdf

დასკვნა

უკანასკნელი წლების განმავლობაში ტერორიზმი მნიშვნელოვან საფრთხედ იქცა ხალხებისთვის. განსაკუთრებით თანამედროვე, ციფრულ სამყაროში ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელება მარტივი და შესაბამისად უსაზღვრო გახდა. ამდენად, ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო-ს ფუნქციური ტრანსფორმაცია და ფოკუსირება საერთაშორისო ტერორიზმზე სტრატეგიულ კონცეფციაში მნიშვნელოვანი გარდატეხა იყო. შედეგად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბრძოლა ტერორიზმის წინააღდეგ და საქმიანობა სხვადასხვა კონფლიქტურ ზონაში მიზნად ისახავს გრძელვადიან სტრატეგიაში სტაბილურობის მიღწევასა და განვითარებას.

გამოყენებული წყაროები:

Pedersen, Kaj W.E. (2011). A Theoretical Analysis of the Future of NATO. CMC Senior Thesis. Paper 157.

Schimmelfenning, F. (2005). Multilateralism in Post-Cold War NATO: Functional Form, Identity-Driven Cooperation. Paper for AUEB International Conference on Assessing Multilateralism in the Security Domain

Rice, J. M. (2016). NATO's New Order: The Alliance After the Cold war. Available at: https://origins.osu.edu/article/natos-new-order-alliance-after-cold-war?language_content_entity=en

Stromseth, J. E. (1991). The North Atlantic Treaty and European Security after the Cold War. Cornell International Law Journal: Vo. 24: Iss. 3, Artcile 6. Available at: https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1277&context=cilj

North Atlantic Treaty Organization. (2020). NATO's Purpose. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68144.htm

North Atlantic Treaty Organization. (2021). Defence Against Terrorism Programme of Work (DAT POW). Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50313.htm

North Atlantic Treaty Organization. (2021). Countering Terrorism. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm

Cascone, G. (2022). NATO Counterterrorism Trends: Current and Future Threats. The Washington Institute for Near East Policy. Available at: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/nato-counterterrorism-trends-current-and-future-threats

Vivo, D. D. (2018). Not Just a Numbers game: NATO, Women, and Countering Terrorism. Atlantic Council. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/not-just-a-numbers-game-nato-women-and-coutering-terrorism/

Cook, J., Newby, V. (2021). An interview with NATO on gender and counter-terrorism. International Centre for Counter-terrorism. Available at: https://icct.nl/publication/an-interview-with-nato-on-gender-and-counter-terrorism/

NATO Allies agree Policy on Battlefield Evidence from operational theatres to boost effrots against terrorism. (2020). North Atlantic Treaty Organization. Avalaible at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_179194.htm

Sen, A. K. (2018). #StrongerwithAllies: The day NATO stood with the United States. Atlantic Council. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/strongerwithallies-the-day-nato-stood-with-the-united-states/

Daley, Suzanne. (2001). After The Attacks: The Alliance; For First Time, NATO Invokes Joint Defense Pact With U.S. The New York Times. Available at: https://www.nytimes.com/2001/09/13/us/after-attacks-alliance-for-first-time-nato-invokes-joint-defense-pact-with-us.html

Collective Defence – Article 5. (2022) North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm

NATO and Afghanistan. (2022). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_8189.htm

Resolute Support Mission in Afghanistan (2015-2021) (Achieved). (2022). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_113694.htm

მისია ავღანეთში. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/mission/56/samshvidobo-misia-avganetshi

NATO Mission Iraq (NMI). (2018). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2018_12/181203-factsheet-NMI-en.pdf

NATO Mission Iraq (NMI). (2021). North Atlantic Treaty Organization. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/3/pdf/2103-factsheet-NMI-en.pdf